

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს დისტანციური სხდომის ოქმი #4

ქ. თბილისი

2021 წლის 06 აგვისტო

ქვეყანაში და მსოფლიოში მიმდინარე კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებული პანდემიის გამო წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ფორმატთან დაკავშირებით მიღებული იქნა გადაწყვეტილება, წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის დისტანციურად, ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარების თაობაზე.

შესაბამისად, თსუ სენატის სამდივნოს მიერ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს ელ. მისამართებზე დაეგზავნათ წარმომადგენლობითი საბჭოს დისტანციური სხდომის დღის წესრიგი, შესაბამისი მასალებით და ეთხოვათ, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, დისტანციურად დააფიქსირებინათ პოზიცია, უჭერდნენ თუ არა მხარს წარმოდგენილ საკითხებს.

დისტანციური სხდომის დღის წესრიგი:

1. ინფორმაცია სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ატესტაციის ჩატარების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით, PWC (ფრანსვოთერჰაუსკუპერს ცენტრალური აზია და კავკასია ბივის ფილიალი საქართველოში)-ის მიერ ჩატარებული თსუ-ს ორგანიზაციული ეფექტიანობის ანალიზისა და 2018 წელს ჩატარებული უნივერსიტეტის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციიდან გამომდინარე (მომხსენებლები: ლაშა სადინაძე, გიორგი შამათავა)
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების დამტკიცება (მომხსენებელი: ნანა გაფრინდაშვილი)
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებების დამტკიცება (მომხსენებელი: თამარ გაგომიძე)
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენების შემსწავლელი ცენტრის დებულებაში ცვლილების დამტკიცება (მომხსენებელი: რუსუდან დოლიძე)
5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულებაში ცვლილების დამტკიცება (მომხსენებელი: ზურაბ გაიპარაშვილი)
6. „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 თებერვლის №10/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს

2021 წლის 29 ივლისის №60/2021 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებლები: გაიამამულაშვილი, გიორგი გრიგოლაშვილი)

7. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური სერვისებისა და კარიერული განვითარების ცენტრის დებულებაში ცვლილებების დამტკიცება (მომხსენებელი: გიორგი გრიგოლაშვილი)

8. „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2021 წლის 29 ივლისის №67/2021 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებლები: ლაშა საღინაძე, გიორგი შამათავა)

9. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესსა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები“-ს ცვლილებების დამტკიცება (მომხსენებლები: ლაშა საღინაძე, გიორგი შამათავა)

10. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის“ დამტკიცება (მომხსენებლები: ლაშა საღინაძე, გიორგი შამათავა)

11. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოძრავი ქონების ჩამოწერის საკითხი (მომხსენებელი: არჩილ კუკულავა)

თსუ სენატის სამდივნოში, ელ. ფოსტის მეშვეობით, თავიანთი პოზიცია დააფიქსირეს წარმომადგენლობითი საბჭოს შემდეგმა 40 წევრმა:

1. აპოლონ თაბუაშვილი 2. ბეჟან თუთბერიძე 3. თამარ პაიჭაძე 4. ლია მაჭავარიანი 5. გიორგი გოგსაძე 6. მიხეილ რუხაია 7. ირინე ჟვანია 8. ლევან საბაური 9. ნინო ჭალაგანიძე 10. მანანა ნიკოლაიშვილი 11. ციური სუმბაძე 12. გიორგი თუმანიშვილი 13. ნაზირა კაკულია 14. გვანცა გვანცელაძე 15. სოფიო ხუციშვილი 16. თემურ ცქიტიშვილი 17. ადა ნემსაძე 18. ნინო აბესაძე 19. მარინა გარიშვილი 20. კობა ყალიჩავა 21. ელენე ბებერაშვილი 22. ზურაბ გაიპარაშვილი 23. ილია თავხელიძე 24. ომარ მუკბანიანი 25. ნათელა არჩვაძე 26. მანანა რუსეიშვილი 27. ნინო ჩახუნაშვილი 28. ირაკლი ონიანი 29. ნოდარ ლომიძე 30. ეთერ კაკულია 31. ელისაბედ ბჟალავა 32. მაია ივანიძე 33. მამუკა მარგველაშვილი 34. ლალი ახალბედაშვილი 35. ეკა ვარდოშვილი 36. ლუკა ონიანი 37. მათე შვანგირაძე 38. მარინე ხუციშვილი 39. თინა ქიტუაშვილი 40. გიორგი ჯაფოშვილი (დანართი 1)

იმის გათვალისწინებით, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დღის წესრიგით გათვალისწინებული რიგი საკითხების განხილვაში მონაწილეობს ასევე აკადემიური საბჭო, მასალები რექტორის აპარატისა და აკადემიური საბჭოს სამდივნოს მიერ გადაგზავნილი იქნა თსუ აკადემიური საბჭოს წევრებთან გასაცნობად (დანართი 2).

დისტანციური სხდომის დღის წერიგის 1-ელ საკითხთან დაკავშირებით (ინფორმაცია სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ატესტაციის ჩატარების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით, PWC

(ფრანსვოთერჰაუსკუპერს ცენტრალური აზია და კავკასია ბივის ფილიალი საქართველოში)-ის მიერ ჩატარებული თსუ-ს ორგანიზაციული ეფექტიანობის ანალიზისა და 2018 წელს ჩატარებული უნივერსიტეტის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციიდან გამომდინარე) თავიანთი წერილობითი პოზიცია დააფიქსირეს თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენლებმა, სენატის წევრებმა: ომარ მუკბანიანმა, ბეჟან თუთბერიძემ, ლია მაჭავარიანმა, ნათელა არჩვაძემ, ილია თავხელიძემ და აღნიშნეს, რომ ჩატარდა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სხდომა, რომელსაც ესწრებოდა ფაკულტეტის დეკანი, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები. სხდომაზე განხილული იქნა წარმომადგენლობითი საბჭოსთვის გადმოგზავნილი 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული საკითხი. სხდომამ მიიღო დადგენილება: „გავაცანით და არ ვიზიარებთ ჩვენს უნივერსიტეტში ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალისთვის ჩასატარებელ ატესტაციის დაგეგმილ წესსა და ფორმატს. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული პროცედურა არასწორია და შესაბამისად დამაზიანებელია ჩვენი ფაკულტეტის სასწავლო და სამეცნიერო პროცესისთვის. იმისათვის, რომ შემდგომში აცილებულ იქნას მსგავსი შეუთანხმებელი ქმედებები, გთავაზობთ შესწორებას სენატის სხდომაზე დასამტკიცებლად წარმოდგენილ შინაგანაწესში, კერძოდ:

უნივერსიტეტის შინაგანაწესის 22-ე მუხლს დაემატოს შემდეგი პუნქტი:

ფაკულტეტზე დამხმარე პერსონალისა და მასწავლებლებისთვის ატესტაციის ჩატარების პროცედურას განსაზღვრავს და ატესტაციის ჩატარებაზე გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საბჭო.

ამავე საკითხთან დაკავშირებით, თავიანთი პოზიცია დააფიქსირეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა, იურიდიული ფაკულტეტის წარმომადგენლებმა: კობა ყალიჩავამ, გიორგი თუმანიშვილმა, მარინა გარიშვილმა, მათა ივანიძემ და აღნიშნეს, რომ სრულად იზიარებენ ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტისა და იურიდიული ფაკულტეტის პოზიციას ე.წ. ატესტაციასთან დაკავშირებით. ანალოგიური პოზიცია დააფიქსირდა ასევე თსუ თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის წარმომადგენლის თემურ ცქიტიშვილის მიერ.

დისტანციური სხდომის დღის წერიგის მე-11 საკითხთან დაკავშირებით (სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოძრავი ქონების ჩამოწერის საკითხი) წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი მიხეილ რუხაიამ დაინტერესდა ქონების ჩამოწერის შემდგომი პროცედურებით.

საკითხის მომხსენებელმა, იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელმა არჩილ კუკულავამ წერილობით განმარტა, რომ ჩამოწერის შემდგომ მოქმედი კანონმდებლობით ხორციელდება განკარგვის პროცედურა. თუ ჩამოწერილ ნივთს შენარჩუნებული აქვს მისთვის დამახასიათებელი თვისებები იგი აუქციონის წესით გაიყიდება, როგორც ნივთი, ხოლო თუ იგი ფაქტობრივად ჯართადაა ქცეული - ანალოგიურად გაიყიდება როგორც ჯართი. ამასთან, განკარგვასთან დაკავშირებით წარმომადგენლობითი საბჭოს ცალკე გადაწყვეტილება აუცილებელი და ჩამოწერის პროცედურის დასრულების შემდგომ სენატზე გამოტანილი იქნება განკარგვის საკითხი ცალკე.

გამომდინარე იქიდან, რომ დისტანციური სხდომის დღის წესრიგის 1-ლი საკითხი (ინფორმაცია სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ატესტაციის ჩატარების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით, PWC (ფრანსვოთერჰაუსკუპერს ცენტრალური აზია და კავკასია ბივის ფილიალი საქართველოში)-ის მიერ ჩატარებული თსუ-ს ორგანიზაციული ეფექტიანობის ანალიზისა და 2018 წელს ჩატარებული უნივერსიტეტის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციიდან გამომდინარე) ინფორმაციული ხასიათისაა - იგი მიღებული იქნა ცნობად;

შესაბამისად, მიღებულად ჩაითვალა შემდეგი გადაწყვეტილებები:

1. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილება წარმოდგენილი სახით. (დანართი 3)

მომხრე: 40

წინააღმდეგი: 0

2. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებები წარმოდგენილი სახით. (დანართი 4)

მომხრე: 40

წინააღმდეგი: 0

3. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენების შემსწავლელი ცენტრის დებულებაში ცვლილება წარმოდგენილი სახით. (დანართი 5)

მომხრე: 40

წინააღმდეგი: 0

4. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულებაში ცვლილება წარმოდგენილი სახით. (დანართი 6)

მომხრე: 40

წინააღმდეგი: 0

5. დამტკიცდეს „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 თებერვლის №10/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2021 წლის 29 ივლისის №60/2021 დადგენილება. (დანართი 7)

მომხრე: 40

წინააღმდეგი: 0

6. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური სერვისებისა და კარიერული განვითარების ცენტრის დებულებაში ცვლილებები წარმოდგენილი სახით (დანართი 8)

მომხრე: 40

წინააღმდეგი: 0

7. დამტკიცდეს „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2021 წლის 29 ივლისის №67/2021 დადგენილება. (დანართი 9)

მომხრე: 40

წინააღმდეგი: 0

8. დამტკიცდეს “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესსა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები“-ს ცვლილებები წარმოდგენილი სახით. (დანართი 10)

მომხრე: 40

წინააღმდეგი: 0

9. დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი“ წარმოდგენილი სახით. (დანართი 11)

მომხრე: 40

წინააღმდეგი: 0

10. გაიცეს თანხმობა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმოდგენილი მოძრავი ქონების ჩამოწერაზე. (დანართი 12)

მომხრე: 40

წინააღმდეგი: 0

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი -

ვლადიმერ მარგველაშვილი

წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი -

გიორგი ჩაკვეტაძე

წარმომადგენლობითი საბჭოს დისტანციური სხდომის ოქმი №4, დანართი 1

დანართი 1

2021 წლის 06 აგვისტოს დისტანციური სხდომის ფორმატში (სხდომა #4, ელ.ფოსტის გამოყენებით) მონაწილე წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

აბესაძე ნინო -

საბაური ლევანი -

კაკულია ნაზირა -

სტუდენტები:

ჯაფოშვილი გიორგი -

შვანგირაძე მათე -

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

არჩვაძე ნათელა -

თუთბერიძე ბეჟანი -

მაჭავარიანი ლია -

მუკბანიანი ომარი -

თავხელიძე ილია -

სტუდენტები:

ონიანი ლუკა -

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

ყალიჩავა კობა -

გარიშვილი მარინე -

თუმანიშვილი გიორგი -

ივანიძე მაია -

სტუდენტები:

ირაკლი ონიანი -

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

მარგველაშვილი ვლადიმერი -

ქიტუაშვილი თინა -

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

გოგსაძე გიორგი -

ჭალაგანიძე ნინო -

სტუდენტები:

ბებერაშვილი ელენე -

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

ჟვანია ირინე -

ჩახუნაშვილი ნინო -

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

ბჟალავა ელისაბედი -

რუსეიშვილი მანანა -

პაიჭაძე თამარი -

ვარდოშვილი ეკა -

თაბუაშვილი აპოლონი -

თსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

გაიპარაშვილი ზურაბი -

თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

ცეციშვილი თემური -

ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტი

ახალბედაშვილი ლალი -

რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

ხუციშვილი მარინე -

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ნემსაძე ადა -

ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

რუხაია მიხეილი -

ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი

ხუციშვილი სოფიო -

მაღალი ენერჯების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

ლომიძე ნოდარი -

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

კაკულია ეთერი -

ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი

სუმბაძე ციური -

არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი

გვანცელაძე გვანცა -

მ. ნოდისას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტი

მანანა ნიკოლაიშვილი

წარმომადგენლობითი საბჭოს დისტანციური სხდომის ოქმი №4, დანართი 2

დანართი 2

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს იმ წევრთა სია, რომელთაც დისტანციურად (ელ. საშუალების გამოყენებით) დაადასტურეს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად გათვალისწინებული საკითხების გაცნობის ფაქტი

წარმომადგენლობითი საბჭოს დისტანციური სხდომის ოქმი (06.08.2021 წ. #4)

1. შარვაშიძე გიორგი, რექტორი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე
2. ავაზაშვილი ნიკოლოზ
3. ამირანაშვილი ავთანდილ
4. ანანიაშვილი ნათელა
5. გაგნიძე ნონა
6. გოცირიძე დავით
7. ზაუტაშვილი მარინე
8. კვინიკაძე მურმან
9. კუხიანიძე ალექსანდრე
10. ლობჯანიძე გია
11. მესტვირიშვილი მაია
12. სილაგაძე ავთანდილ
13. ფურთუხია ომარ
14. ქურდაძე რამაზ
15. ღვედაშვილი გიორგი
16. ღონღაძე ალექსანდრე
17. ყარალაშვილი თამაზ
18. შავლაყაძე ნუგზარ
19. შენგელია თემურ
20. ხაჩიძე მანანა
21. ხუციშვილი ქეთევან

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარეს
ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

ინფორმაციის სახით გიგზავნით შემდეგს:

როგორც თქვენთვის ცნობილია, PWC (ფრანსვითერჰაუსკუპერს ცენტრალური აზია და კავკასია ბივის ფილიალი საქართველოში)-ის მიერ ჩატარებული თსუ-ს ორგანიზაციული ეფექტიანობის ანალიზის შედეგად იდენტიფიცირებული იყო მრავალი საკითხი მათ შორის ის, რომ არსებული მართვის სისტემა, ორგანიზაციული სტრუქტურა, თანამშრომლების რაოდენობა და რიგი თანამშრომლების (არა აკადემიური) კომპეტენცია არ შეესაბამებოდა უნივერსიტეტის სტრატეგიას. დასკვნაში აღნიშნულია, რომ საჭიროა თანამშრომელთა შეფასება კომპეტენციების შესაბამისად, ასევე ის, რომ რიგი მიმართულებებით არიან თანამშრომლები, რომლებიც არ ფლობენ შესაბამის უნარჩვევებსა და კომპეტენციას, ამასთან გარკვეულ სამსახურებში შეინიშნებოდა მენეჯერული უნარ - ჩვევების ნაკლებობა.

2018 წელს ჩატარებული უნივერსიტეტის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია იყო შემდეგი: *რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა განხორციელოს მისი გეგმა ორგანიზაციული სტრუქტურისა და მართვის პროცესების მოდერნიზების თაობაზე. მოდერნიზაციის ძირითადი მიზანი უნდა იყოს ადმინისტრაციული და მმართველობითი სამსახურების მეტი ეფექტიანობა და მაღალი ეფექტურობა ხარჯების შემცირებით, უფრო მცირე ბიუროკრატია და მეტი დრო და ბიუჯეტი უნივერსიტეტის უმთავრესი საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესებისათვის. უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნების მისაღწევად მისმა წარმომადგენლობითმა ორგანოებმა უნდა გამოავლინონ გუნდური ერთსულოვნებისა და თანამშრომლობის მაღალი ხარისხი.*

გაცნობებთ, რომ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 28 აპრილის N75/02-01 ბრძანების შესაბამისად, დამხმარე პერსონალს დაევალა 2020 წლის წლიური ანგარიშის წარმოდგენა, რომლის წარმოდგენა განხორციელდა გარკვეული სამსახურების მიერ დაგვიანებით, გარკვეული სამსახურების მიერ არ იქნა წარმოდგენილი, გარკვეული თანამშრომლების მიერ წარმოდგენილ იქნა არასრულყოფილად, ხოლო რიგ თანამშრომლებს საერთოდ არ მოუწოდებიათ შესაბამისი ანგარიში, რომლის საფუძველზეც ცალკე საქმის წარმოებაც განხორციელდება.

ამასთან, უნივერსიტეტში არსებული შეფასების სისტემა საჭიროებს მოდიფიცირებას, რადგან არ გვაძლევს სრულყოფილ სურათს, რთულია აღნიშნული სისტემით განხორციელდეს თანამშრომელთა სრულყოფილი შეფასება (უმეტეს შემთხვევებში სამსახურის უფროსების მიერ ხორციელდება ყველა თანამშრომლის ერთგვაროვნად შეფასება და მათთვის მაღალი ქულებით შეფასება, დამსახურების მიუხედავად).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესის (რომელსაც გაცნო უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელი და დაეთანხმა) 22-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციული პერსონალის (გარდა იმ ადმინისტრაციული პერსონალისა, რომლის სამსახურში მისაღებად კონკურსის/არჩევნების პროცედურა კანონმდებლობითაა გათვალისწინებული), ასევე დამხმარე და მასწავლებელთა პერსონალის ატესტაციის გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, რა მიზნითაც მისივე ბრძანებით მტკიცდება ატესტაციის ჩატარების წესი და პირობები.

შესაბამისად ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზენშორილია ჩატარდეს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ატესტაცია (გამონაკლისი შემთხვევები თუ ვისზე არ გავრცელდება აღნიშნული პროცესი გაიწერება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის შესაბამის ბრძანებაში) რომელიც ჩატარდება დაკავებული თანამდებობის მოთხოვნებთან პერსონალის სამსახურებრივი საქმიანობის, პროფესიული უნარ-ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობების და პიროვნული თვისებების შესაბამისობის შეფასების მიზნით.

ატესტაცია მიზანშეწონილია ჩატარდეს შემდეგი ფორმატით:

პირველი ეტაპი: ტესტირება (რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება პერსონალის უნარჩვევების, შესაძლებლობების, ლოგიკური აზროვნების, წაკითხულის გააზრების და სხვა შესაბამისი ფაქტორების შეფასება)

მეორე ეტაპი: გასაუბრება (რომლის დროსაც შეფასდება პერსონალის სამსახურებრივი საქმიანობის და კვალიფიკაციის შესაბამისობა დაკავებული თანამდებობის მოთხოვნებთან და სამუშაო აღწერილობასთან); აღნიშნულ ეტაპზე კომისია მხედველობაში მიიღებს და გასაუბრების ეტაპზე პერსონალს გასაუბრება: დებულებების, შესაბამისი ნორმატიული/ინდ. აქტების, სამუშაო აღწერილობების, წარმოდგენილ ანგარიშების და სხვა დოკუმენტების თუ ფაქტორების გათვალისწინებით, ასევე შესაძლებლობის შემთხვევაში ატესტაციის პირველ ან მეორე ეტაპზე შემოწმდება პერსონალის კომპიუტერული უნარ ჩვევები.

პირველი ეტაპის ჩატარების მიზნით, სასურველია სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის სრული დაცვით დაქირავებულ იქნეს ორგანიზაცია, რომელსაც ექნება აღნიშნული ტიპის ტესტების შექმნის და ტესტირების ჩატარების გამოცდილება და ასევე ეყოლება შესაბამისი გამოცდილების პერსონალი. მნიშვნელოვანია პროცესი იყოს გამჭვირვალე და ინფორმაცია იყოს დაცული. სასურველია შეიქმნას ტესტის 4 ვარიანტი (პირველ ეტაპზე ტესტირება ჩატარდეს 3 ნაკადად, ხოლო მეოთხე ნაკადაში მოხვდნენ ის პირები, რომლებსაც ობიექტური მიზეზების გამო არ მიეცათ ტესტის დაწერის შესაძლებლობა არც ერთ ეტაპზე)

მეორე ეტაპზე გასაუბრების მასშტაბებიდან გამომდინარე სასურველი იქნება შეიქმნას არანაკლებ 8 კომისიისა, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, აკადემიური სფეროს, არასამთავრობო ორგანიზაციების თუ სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლები.

ატესტაციის გრაფიკი, ინფორმაცია ატესტაციის ჩატარების პრინციპების, პროცედურების, ფორმებისა და პირობების შესახებ ატესტაციას დაქვემდებარებულ პირს უნდა ეცნობოს ატესტაციის დაწყებამდე 1 თვით ადრე მაინც.

ატესტაციის შედეგების (ტესტირება, გასაუბრება) და პერსონალის 2020 წლის ანგარიშების ანალიზის საფუძველზე კომისიას გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი შინაარსის დასკვნა:

- ა) პერსონალი შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას და ექვემდებარება დაწინაურებას;
- ბ) პერსონალი შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

გ) პერსონალი ნაწილობრივ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას (საჭიროებს კვალიფიკაციის ამაღლებას);

დ) პერსონალი არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

თუ ატესტაციის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად პერსონალი არ შეესაბამება ან ნაწილობრივ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას და იგი სხვა თანამდებობის დაკავებაზე (არსებობის შემთხვევაზე სხვა პროფილის თანამდებობაზე გადაყვანაზე) ან კვალიფიკაციის ამაღლებაზე უარს აცხადებს, დამნიშვნელ პირს უფლება უნდა ჰქონდეს პერსონალი გაათავისუფლოს თანამდებობიდან.

იმ შემთხვევაში თუ პერსონალი უარს განაცხადებს ან არ მიიღებს მონაწილეობას ატესტაციის პროცესში, ის შეფასდება როგორც დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამო პირი.

მიზანშეწონილია ატესტაციის პირველი ეტაპის ჩამტარებელი ორგანიზაციის შერჩევის მიზნით, შესყიდვების პროცედურა დაიწყოს უახლოეს პერიოდში.

პატივისცემით,

ლაშა სალინაძე



ადმინისტრაციის ხელმძღვანელი


ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროექტი

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში (დამტკიცებულია სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 26 ივნისის N3 გადაწყვეტილებებით) შევიდეს შემდეგი დამატება:

1. დებულების 32-ე მუხლის მე-10 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „კ“ ქვეპუნქტი:

„კ) ქართულ დიასპორათა კვლევის ცენტრი.“.



Handwritten signature and stamp in the bottom right corner. The signature is in Georgian script. Below the signature is a rectangular stamp with text in Georgian script, which is partially obscured by the signature.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომის

ოქმი N 8

2021 წლის 24 ივნისს, ოთხშაბათს, 12 საათზე, Zoom-ის პლატფორმაზე ჩატარდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომას ესწრებოდა ფაკულტეტის საბჭოს 27 წევრი: პროფესორი ნანა გაფრინდაშვილი, ასოც. პროფესორი თეა წითლანაძე, პროფესორი ვასილ ვაჭარავა, ასოც. პროფესორი ლევან სილაგაძე, ასოც. პროფესორი ნინო წერეთელი, სტუდენტი თაკო ბერიძე, პროფესორი კახაბერ ლორია, პროფესორი მანანა რუსიეშვილი, პროფესორი ელგუჯა ხინთიბიძე, სტუდენტი გრიგოლ ხაჩატუროვი, პროფესორი თედო დუნდუა, პროფესორი რამაზ ქურდაძე, პროფესორი დემურ ჯალაღონია, სტუდენტი თამარ ჩუტკერაშვილი, პროფესორი თეიმურაზ პაპასქერი, ასოც. პროფესორი კონსტანტინე ბრეგაძე, პროფესორი თინათინ დოლიძე, პროფესორი ქეთევან ხუციშვილი, სტუდენტი ანანო სამხარაძე, სტუდენტი ნანუკა გელაშვილი, სტუდენტი მარიამ თვალაძე, სტუდენტი ანნა მელუა, პროფესორი დარეჯან გარდავაძე, პროფესორი ნინო ჩიქოვანი, სტუდენტი მადინა ალხანაშვილი, პროფესორი დარეჯან გარდავაძე, სტუდენტი საბა ვეფხვაძე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კანცელარიის უფროსი თამარ მოკვერაშვილი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის თანაშემწე თეა კალანდია, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი ზვიად მურადაშვილი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი (1 კატეგორია) შავლიკა ჯაგუნავა, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი (1 კატეგორია) ფიქრია ვარდოსანიძე.

სხდომის თავმჯდომარე - ფაკულტეტის დეკანი,

პროფ. ნანა გაფრინდაშვილი

მდივანი - ასოც. პროფესორი ნინო წერეთელი

დღის წესრიგი

3. ქართულ დიასპორათა კვლევის ცენტრის დაარსების შესახებ.

მისამინეს: 3. ქართულ დიასპორათა კვლევის ცენტრის დაარსების შესახებ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფ. ნანა გაფრინდაშვილმა, ფაკულტეტის საბჭოს წევრებს წარუდგინა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში შესატანი ცვლილება, კერძოდ, ამონაწერი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის 2021 წლის 10 ივნისის სხდომის N4 ოქმიდან ფაკულტეტის ბაზაზე დამხმარე სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ქართულ დიასპორათა კვლევის ცენტრის დაარსების შესახებ და ამავე ინსტიტუტის ხელმძღვანელის, პროფ. ქეთევან ხუციშვილის, 2021 წლის 22 ივნისის 11244/27 განცხადება (იხ. დაართი).

პროფ. ნანა გაფრინდაშვილმა სთხოვა პროფ. ქეთევან ხუციშვილს, წარედგინა ინფორმაცია ცენტრის შესახებ.

პროფ. ქეთევან ხუციშვილმა აღნიშნა, რომ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ცენტრის შექმნის მიზანია 1. ქართულ ისტორიულ დიასპორათა და შრომით მიგრანტთა ეთნიკური იდენტობის, ენობრივ-კულტურული ვითარების, ყოფისა და კულტურის, პრობლემების კვლევა, სოციო-კულტურული პროცესების ანალიზი უნივერსიტეტის სამეცნიერო-საგანმანათლებლო პოტენციალის გამოყენებით; 2. ამ თემატიკის დამუშავების პროცესში სტუდენტი ახალგაზრდობის აქტიური ჩაბმა მათში მეცნიერული კვლევის საფუძვლების განვითარების მიზნით. 3. კვლევის შედეგების მიწოდება სამეცნიერო და ფართო საზოგადოებისათვის, სამეცნიერო აქტივობათა და ნაშრომთა გამოცემა და გავრცელება და ამ გზით ქვეყნის სამეცნიერო საზოგადოების ყურადღების გააქტიურება აღნიშნულ საკითხებზე.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად ცენტრი:

ა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანთან შეთანხმებით ითანამშრომლებს საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტთან; საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტთან; საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან; ქართულ დიასპორულ ორგანიზაციებთან;

ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ორგანიზებას გაუწევს მკვლევართა და სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობას;

გ) მოაწყობს სამეცნიერო-სასწავლო კონფერენციებს;

დ) შექმნის პირობებს უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობაში დიასპორის წარმომადგენელთა მონაწილეობისათვის;

ე) ხელს შეუწყობს უნივერსიტეტში აბიტურიენტთა მოზიდვას ქართული დიასპორებიდან;

ვ) კონსულტაციებს გაუწევს დაინტერესებულ საზოგადოებას ქართულ დიასპორებში მიმდინარე პროცესების შესახებ.

კვლევის არეალი იქნება საქართველოს პოლიტიკური საზღვრების მიღმა მცხოვრები მკვიდრი/ავტოქტონი ქართველები (ჰერეთი – აზერბაიჯანის რესპუბლიკა; არტანი, შავშეთი, იმერხევი, არტანუჯი, ამიერ ტაო, სპერი, კლარჯეთი, ნიგალი, აღმოსავლეთ ლაზეთი – თურქეთის რესპუბლიკა), ისტორიული დიასპორები (ფერეიდანი და მაზანდარანი – ირანის ისლამური რესპუბლიკა; შავიზღვისპირეთისა და მარმარილოს ზღვის რეგიონები – თურქეთის რესპუბლიკა) და პირველი რესპუბლიკის შემდგომი ხანის ემიგრაციის ლოკალური წერტილები ევროპასა და აშშ-ში. აგრეთვე, თანამედროვე შრომით მიგრანტთა ყოფა.

ასეთი კვლევებისთვის ფაკულტეტს გააჩნია შესაბამისი აკადემიური რესურსი, პირველ ყოვლისა, ესაა თსუ ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის წევრთა და ფაკულტეტის სხვა ინსტიტუტების მეცნიერთა გამოცდილება, უკვე არსებული ცოდნა – კვლევის შედეგები (ნაშრომები, მონოგრაფიები, ელექტრონული ბაზები, სამეცნიერო სიმპოზიუმები); მჭიდრო ინსტიტუციური (თსუს-ს მემორანდუმები) და პირადი კონტაქტები ავტოქტონ ქართველთა და ისტორიული თუ თანამედროვე ევროპული დიასპორების მოღვაწე ქართველებთან, მათ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებთან, დიასპორულ ორგანიზაციებთან; ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის წარმომადგენელთა ჩართულობა პარლამენტის დიასპორის კომიტეტის სამეცნიერო საბჭოს მუშაობაში. ამავე ინსტიტუტის კურიკულუმით გათვალისწინებული საგანი – ქართველები საზღვარგარეთ.

აზრი გამოთქვას: პროფ. თედო დუნდუამ, პროფ. რამაზ ქურდაძემ.

პროფ. თედო დუნდუამ მხარი დაუჭირა წარმოდგენილ წინადადებას და დასვა კითხვა ცენტრის დაფინანსების შესახებ და საშტატო ერთეულების დამატებასთან დაკავშირებით.

პროფ. ქეთევან ხუციშვილმა განმარტა, რომ ფაკულტეტის ბიუჯეტიდან თანხები არ დაიხარჯება და არც საშტატო ერთეულები იქნება დასამატებელი. ცენტრის საქმიანობა განხორციელდება უკვე არსებული ადამიანური რესურსებით, ხოლო თანხების მოზიდვა იგეგმება ცენტრის მიერ განსახორციელებელი პროექტებისათვის სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან. პროექტების განხორციელებაში ასევე ჩაერთვებიან სხვა მიმართულების დაინტერესებული პროფესორები, სტუდენტები.

პროფ. რამაზ ქურდაძემ აღნიშნა, რომ ქართული ენის ს/ს ინსტიტუტი ჩაერთვება ქართული ენის სწავლების პრობლემატიკის კუთხით.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე გამოიტანა საკითხი ფაკულტეტის ბაზაზე დამხმარე სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ქართულ დიასპორათა კვლევის ცენტრის დაარსების და ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების შეტანი შესახებ. კერძოდ, დებულების 32-ე მუხლის მე-10 პუნქტს დაემატოს კვეპუნქტი:

კ) ქართულ დიასპორათა კვლევის ცენტრი

გაიმართა კენჭისყრა: მხარი დაუჭირა საბჭოს 27 წევრმა, წინააღმდეგი: 0; თავი შეიკავა: 0.

დაადგინეს: წარედგინოს ფაკულტეტის დებულების ცვლილების პროექტი თსუ წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად.

სხდომის თავმჯდომარე:

ნ. ევსი



ნანა გაფრინდაშვილი/

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს,
პროფ. ნ. გაფრინდაშვილს

ამავე ფაკულტეტის ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის
ხელმძღვანელის პროფ. ქ. ხუციშვილის

განცხადება


გთხოვთ განიხილოთ ფაკულტეტის ბაზაზე დამხმარე სამეცნიერო-
კვლევითი ერთეულის ქართულ დიასპორათა კვლევის ცენტრის დაფუძნების
საკითხი.

ცენტრის შექმნის მიზანია

1. ქართულ ისტორიულ დიასპორათა და შრომით მიგრანტთა ეთნიკური
იდენტობის, ენობრივ-კულტურული ვითარების, ყოფისა და კულტურის,
პრობლემების კვლევა, სოციო-კულტურული პროცესების ანალიზი უნივერსიტეტის
სამეცნიერო-საგანმანათლებლო პოტენციალის გამოყენებით;
2. ამ თემატიკის დამუშავების პროცესში სტუდენტი ახალგაზრდობის აქტიური
ჩაბმა მათში მეცნიერული კვლევის საფუძვლების განვითარების მიზნით;
3. კვლევის შედეგების მიწოდება სამეცნიერო და ფართო საზოგადოებისათვის,
სამეცნიერო აქტივობათა და ნაშრომთა გამოცემა და გავრცელება და ამ გზით
ქვეყნის სამეცნიერო საზოგადოების ყურადღების გააქტიურება აღნიშნულ
საკითხებზე.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად ცენტრი:

ა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
დეკანთან შეთანხმებით ითანამშრომლებს საქართველოს პარლამენტის
დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტთან; საქართველოს საგარეო საქმეთა
სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის

დეპარტამენტთან	საგარეო
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის	საგარეო
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	საგარეო
შემოსულია №	11244/27
"22"	06 2021
ხელმოწერა:	

პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან; ქართულ დიასპორულ ორგანიზაციებთან;

ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ორგანიზებას გაუწევს მკვლევართა და სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობას;

გ) მოაწილებს სამეცნიერო-სასწავლო კონფერენციებს;

დ) შექმნის პირობებს უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობაში დიასპორის წარმომადგენელთა მონაწილეობისათვის;

ე) ხელს უწყობს უნივერსიტეტში აბიტურიენტთა მოზიდვას ქართული დიასპორებიდან;

ვ) კონსულტაციებს გაუწევს დაინტერესებულ საზოგადოებას ქართულ დიასპორებში მიმდინარე პროცესების შესახებ.


კვლევის არეალი: იქნება საქართველოს პოლიტიკური საზღვრების მიღმა მცხოვრები მკვიდრი/ავტოქტონი ქართველები (ჰერეთი - აზერბაიჯანის რესპუბლიკა; არტანუჯი, შავშეთი, იმერხევი, არტანუჯი, ამიერ ტაო, სპერი, კლარჯეთი, ნიგალი, აღმოსავლეთ ლაზეთი - თურქეთის რესპუბლიკა), ისტორიული დიასპორები (ფერეიდანი და მაზანდარანი - ირანის ისლამური რესპუბლიკა; შავიზღვისპირეთისა და მარმარილოს ზღვის რეგიონები - თურქეთის რესპუბლიკა) და პირველი რესპუბლიკის შემდგომი ხანის ემიგრაციის ლოკალური წერტილები ევროპასა და აშშ-ში. აგრეთვე, თანამედროვე შრომით მიგრანტთა ყოფა.

ასეთი კვლევებისთვის ფაკულტეტს გააჩნია შესაბამისი აკადემიური რესურსი, პირველ ყოვლისა ესაა თსუ ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის წევრთა და ფაკულტეტის სხვა ინსტიტუტების მეცნიერთა გამოცდილება, უკვე არსებული ცოდნა - კვლევის შედეგები (ნაშრომები, მონოგრაფიები, ელექტრონული ბაზები, სამეცნიერო სიმპოზიუმები); მჭიდრო ინსტიტუციური (თსუს-ს მემორანდუმები) და პირადი კონტაქტები ავტოქტონ ქართველთა და ისტორიული თუ თანამედროვე ევროპული დიასპორების მოღვაწე ქართველებთან, მათ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებთან, დიასპორულ ორგანიზაციებთან; ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის წარმომადგენელთა ჩართულობა პარლამენტის დიასპორის კომიტეტის სამეცნიერო საბჭოს მუშაობაში. ამავე

ინსტიტუტის კურიკულუმით გათვალისწინებული საგანი - ქართველები
საზღვარგარეთ.

ქართულ დიასპორათა კვლევის ცენტრის საქმიანობის წესი
განისაზღვრება ფაკულტეტის დებულებით. ცენტრის მუშაობას
კოორდინირებას გაუწევს ცენტრის ხელმძღვანელი, რომელსაც დეკანის
წარდგინებით დაამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.

ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი
პროფ. ე. ხუციშვილი



21.06.2021

ამონაწერი

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პროფესორთა 2021 წლის 10 ივნისის სხდომის

ო ქ მ ი N 4

სხდომა ჩატარდა ონლაინ zoom პლატფორმის მეშვეობით.

სხდომას ესწრებოდნენ: პროფ. ქ. ხუციშვილი, ასოც. პროფ. რ. გუჭეჭიანი, ასოც. პროფ. თ. გვიმრაძე, ლაბ. მ. შარაშენიძე

სხდომის თავმჯდომარე: პროფ. ქ. ხუციშვილი

სხდომის მდივანი: მ. შარაშენიძე

დღის წესრიგი:

1. ქართულ დიასპორათა კვლევის ცენტრის დაფუძნების თაობაზე

1. **მოისმინეს:** ასოც. პროფ. რ. გუჭეჭიანის მოხსენება ქართულ დიასპორათა კვლევის ცენტრის დაფუძნების თაობაზე (იხ. დანართი).


აზრი გამოთქვას:

ასოც. პროფ. თ. გვიმრაძემ აღნიშნა, ასეთი ცენტრის დაფუძნება ხელს შეუწყობს დიასპორების კვლევის გააქტურებას სხვა ინსტიტუტებთან თანამშრომლობით პროფ. ქ. ხუციშვილმა აღნიშნა, რომ გარკვეული ნაბიჯები ამ მხრივ ფაკულტეტს გადადგმული აქვს, მჭიდრო თანამშრომლობა არსებობს როგორც უნივერსიტეტის, ასევე მის ფარგლებს გარეთ მოღვაწე მკვლევრებს შორის, რომელბიც იკვლევენ ქართულ დიასპორებს, ასევე ფაკულტეტს კონტაქტები

აქვს ქართული დიასპორის წარმომადგენელ მეცნიერებთან და ცენტრის ფორმალური სტატუსი კიდევ უფრო გააღრმავებს ინსტიტუციურ თანამშრომლობას

დაადგინეს: აღიძრას შუამდგომლობა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის წინაშე, რათა დაფუძნდეს ქართულ დიასპორათა კვლევის ცენტრი და განხორციელდეს სათანადო ცვლილება ფაკულტეტის დებულებაში

სხდომის თავმჯდომარე



პროფ. ე. ხუციშვილი

სხდომის მდივანი



მ. შარაშენიძე

ქართულ დიასპორათა კვლევის სამეცნიერო-კვლევის ცენტრი

ცენტრის შექმნის მიზანი და ამოცანებია:

- ქართულ ისტორიულ დიასპორათა და შრომით მიგრანტთა ეთნიკური იდენტობის, ენობრივ-კულტურული ვითარების, ყოფისა და კულტურის პრობლემების კვლევა, სოციო-კულტურული პროცესების ანალიზი.
- კვლევის შედეგების მიწოდება სამეცნიერო და ფართო საზოგადოებისათვის, სამეცნიერო აქტივობათა და ნაშრომთა გამოცემა და გავრცელება.

კვლევის არეალი:

საქართველოს პოლიტიკური საზღვრების მიღმა მცხოვრები მკვიდრი/ავტოქტონი ქართველები (ჰერეთი - აზერბაიჯანის რესპუბლიკა, არტაანი, შავშეთი, იმერხევი, არტანუჯი, ამიერ ტაო, სპერი, კლარჯეთი, ნიგალი, აღმოსავლეთ ლაზეთი - თურქეთის რესპუბლიკა), ისტორიული დიასპორები (ფერეიდანი და მაზანდარანი - ირანის ისლამური რესპუბლიკა, შავიზღვისპირეთისა და მარმარილოს ზღვის რეგიონები - თურქეთის რესპუბლიკა) და პირველი რესპუბლიკის შემდგომი ხანის ემიგრაციის ლოკალური წერტილები ევროპასა და აშშ-ში. აგრეთვე, თანამედროვე შრომით მიგრანტთა ყოფა.

რესურსი:

1. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის წევრთა და სხვა მეცნიერთა გამოცდილება, უკვე არსებული ცოდნა - კვლევის შედეგები (ნაშრომები, მონოგრაფიები, ელექტრონული ბაზები, სამეცნიერო სიმპოზიუმები). 2. მჭიდრო ინსტიტუციური (თსუს-ს მემორანდუმები) და პირადი კონტაქტები ავტოქტონ ქართველთა და ისტორიული თუ თანამედროვე ევროპული დიასპორების მოღვაწე ქართველებთან, მათ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებთან, დიასპორულ ორგანიზაციებთან. ამავე ინსტიტუტის წარმომადგენელთა ჩართულობა პარლამენტის დიასპორის კომიტეტის სამეცნიერო საბჭოს მუშაობაში. ამავე ინსტიტუტის კურიკულუმით გათვალისწინებული საგანი - ქართველები საზღვარგარეთ.

სხვა ინსტიტუციებთან თანამშრომლობა:

- საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტი;
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტი;
- თურქეთის მთავარი ქართული დიასპორული ორგანიზაციები: სტამბოლის ქართული ხელოვნების სახლი, სტამბოლის ქართული კულტურის ცენტრი, ინეგოლის კავკასიური

ფოლკლორისა და კულტურის საზოგადოება, ბურსის ქართველთა საზოგადოება.

საფრანგეთის ქართველთა საზოგადოება „ლაზი“ და სხვ.;

- საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

პირველი დაგეგმილი ღონისძიება:

ახმედ მელაშვილის ასი წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი.

ცენტრის მუშაობის ფორმატი:

ცენტრის საქმიანობის წესი განისაზღვრება ფაკულტეტის დებულებით.

ცენტრის მუშაობას კოორდინირებას უწევს ცენტრის ხელმძღვანელი, რომელსაც დეკანის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.

ცენტრის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი.

ცენტრის მიერ განხორციელებულ პროექტებში/პროგრამებში შეიძლება მონაწილეობდეს: ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, დოქტორანტი, მაგისტრანტი და სტუდენტი, ასევე, კონკრეტული პროექტის განსახორციელებლად მონვეული სპეციალისტი.

ცენტრის ხელმძღვანელი კოორდინირებას უწევს ცენტრის საორგანიზაციო და სამეცნიერო საქმიანობას, ცენტრის მიერ განხორციელებულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროექტებს/პროგრამებს, ხელს უწყობს სამეცნიერო კონტაქტების განვითარებას საქართველოსა და შესაბამისი ქვეყნების/რეგიონების საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სხვა სახის ორგანიზაციებთან, პასუხისმგებელია ცენტრის წლიური ანგარიშის მომზადებასა და ფაკულტეტის შესაბამისი სამსახურისთვის წარდგენაზე.

ცენტრის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის საბჭოს წინაშე.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს
უფროსს,

ბატონ გიორგი ჩაკვეტაძეს

ბატონო გიორგი,

გთხოვთ წარმომადგენლობითი საბჭოს უახლოეს სხდომაზე განიხილოთ
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებების შეტანის
საკითხი.

იხილეთ დანართები.

პატივისცემით

ნანა გაფრინდაშვილი



თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

პროექტი

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დებულებაში (დამტკიცებულია სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 9 ოქტომბრის N6 გადაწყვეტილებებით) შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

1. ამოღებულ იქნას დებულების მე-19 მუხლის პირველი პუნქტი.

2. დებულების მე-20 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ მუხლი 20. სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის ფუნქციები სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისია:

ა) ამტკიცებს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარდგენილ კონკრეტული დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების კანდიდატებს; ჩარიცხვიდან პირველი ორი სემესტრის განმავლობაში, რაც აისახება შესაბამის სხდომის ოქმში;

ბ) ამტკიცებს სადისერტაციო თემის სათაურს დოქტორანტის ჩარიცხვიდან პირველი ორი სემესტრის განმავლობაში, რაც აისახება შესაბამის სხდომის ოქმში;

გ) განიხილავს სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლასთან დაკავშირებულ საკითხებს, რაც აისახება შესაბამის სხდომის ოქმში;

დ) განიხილავს სადისერტაციო თემის სათაურის ცვლილებას და ამტკიცებს შეცვლილ სათაურს, რაც აისახება შესაბამის სხდომის ოქმში;

ე) უზრუნველყოფს ღონისძიებების გატარებას დისერტაციის დაცვის პროცესისთვის მსვლელობის მისაცემად;

ვ) დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან კონსულტაციების საფუძველზე შეარჩევს სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლებსა და დაცვის კომისიის შემადგენლობას;

ა. კვიციანი
22.07.21

ბ. ცხელი

გ. კვიციანი

25.07.2021
გ. კვიციანი

დ. კვიციანი

ზ) ცნობად იღებს ინფორმაციას დაცვის კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და მდივნის, აგრეთვე დაცვის თარიღის შესახებ, რაც აისახება შესაბამის სხდომის ოქმში;

თ) აწარმოებს ფაკულტეტზე სადოქტორო სწავლებასა და დისერტაციის დაცვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას;

ი) ამოწმებს დოქტორანტის მიერ სადისერტაციო ნაშრომთან ერთად წარდგენილ დოკუმენტაციას;

კ) რეცენზენტებს გასაცნობად აწოდებს სადისერტაციო ნაშრომს და ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებს;

ლ) სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრებს გასაცნობად აწოდებს სადისერტაციო ნაშრომს და რეცენზენტების დასკვნას, აგრეთვე გააცნობს დისერტაციის დაცვის რეგლამენტს (პროცედურებს) და ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებს.“.

3. დებულების 29-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. „სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტსა და მიმართულებას ხელმძღვანელობს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის წევრი. ხელმძღვანელად შეიძლება არჩეულ იქნეს მხოლოდ იმავე ინსტიტუტის ან მიმართულების წევრი პროფესორი და/ან ასოცირებული პროფესორი 2 წლის ვადით.“.

4. დებულების 31-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 31. ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო და სამეცნიერო ერთეულები

1. ფაკულტეტის სასწავლო და კვლევითი სპეციფიკიდან გამომდინარე, ფაკულტეტთან იქმნება დამხმარე საგანმანათლებლო და სამეცნიერო ერთეულები, რომლებსაც აქვთ სასწავლო-კვლევითი ფუნქციები საზოგადოებისთვის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით. აღნიშნულ ცენტრებს აქვთ პრაქტიკული ღირებულება და ამავე დროს წვლილი შეაქვთ ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროცესში. დამხმარე საგანმანათლებლო და სამეცნიერო ერთეულები ფინანსდება მხოლოდ ამ ერთეულების

ინიციატივით კანონმდებლობით დადგენილი წესით უნივერსიტეტის ბიუჯეტში მოზიდული სახსრებით. ფაკულტეტზე მოქმედი ყველა ცენტრის საქმიანობა და მართვა განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული ცენტრის დებულებით.

2. ფაკულტეტზე მოქმედებს: ფსიქოლოგიური კონსულტაციის და სატრენინგო ცენტრი, შშმ პირების საკითხების შემსწავლელი კვლევის ცენტრი, ადრეული განვითარებისა და განათლების კვლევის ცენტრი, ინტერდისციპლინური პროგრამებისა და კვლევების განვითარების ცენტრი, სოციალური ფსიქოლოგიის კვლევის ცენტრი.

3. ფსიქოლოგიური კონსულტაციის და სატრენინგო ცენტრის მიზანია უნივერსიტეტის სტუდენტების დახმარება ფსიქოლოგიური პრობლემებისა და სწავლასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური სირთულეების დაძლევაში, კარიერის ეფექტური დაგეგმისთვის საჭირო სოციალური და პრაქტიკული უნარების (დროის მართვა, პრობლემის გადაჭრა, და სწავლის სტრატეგიები და სხვა) შეძენაში; ამავე დროს, ცენტრი ფსიქოლოგთა და მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ხელს უწყობს მათი პრაქტიკული ჩვევების, პროფესიული უნარების განვითარებასა და დარგში თანამედროვე ცოდნის შეძენას და მისი ფუქნციებია:

ა) სტუდენტების და სხვა კონტიგენტის ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტირება მათ პერსონალურ, ფსიქოლოგიურ, სწავლასთან და კარიერასთან დაკავშირებულ პრობლემებზე;

ბ) სატრენინგო პროგრამების შემუშავება და ჩატარება ინტერპერსონალური, კომუნიკაციური და პერსონალური უნარების გასაუმჯობესებლად;

გ) სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე მყოფი სტუდენტებისთვის პრაქტიკული ჩვევების ათვისებისა და სუპერვიზიის უზრუნველყოფა.

პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური სამეცნიერო გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) – **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

ბ.ბ) ასოცირებული პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60-80 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

ბ.გ) ასისტენტ-პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60-80 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 6 წელიწადში ერთხელ მაინც მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 4 წელიწადში ერთხელ მაინც მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

3. „ა“ კატეგორიის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო -

- ა) პროფესორი - თვეში 3200 ლარი;
- ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 2600 ლარი;
- გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 2000 ლარი.

4. მე-3 პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შესრულება:

ა) სავალდებულო დატვირთვა - პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ სავალდებულო 16 საათი - 8 - სააუდიტორიო (პედაგოგიური), 8 - საკონსულტაციო, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 20 საათი - 10 - სააუდიტორიო (პედაგოგიური), 10 - საკონსულტაციო, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 24 საათი - 12 - სააუდიტორიო (პედაგოგიური), 12 - საკონსულტაციო;

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა, რომელიც განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ და არ უნდა იყოს პროფესორის ამ დანართის მე-2 პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები, ასოცირებული პროფესორისთვის ამ დანართის მე-2 პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები, ასისტენტ-პროფესორისთვის ამ დანართის მე-2 პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები.

5. წინამდებარე დანართის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ პერსონალს შრომითსამართლებრივი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს მხოლოდ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

6. წინამდებარე დანართის მე-5 პუნქტით დადგენილი შეზღუდვიდან გამონაკლისს წარმოადგენს და ამ პუნქტით დადგენილი წესით, უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ შრომითსამართლებრივი ურთიერთობა, მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში და შემდეგი სახით:

ა) შესაბამისი ანაზღაურებით ან მის გარეშე სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ და სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიებში სამეცნიერო-კვლევითი ფუნქციის განხორციელება;

ბ) არასაუნივერსიტეტო სამეცნიერო გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა;

გ) უნივერსიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სამეცნიერო - კვლევით დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით ან სხვა ამგვარი დოკუმენტით გათვალისწინებულ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მონაწილეობა (გადაწყვეტილებას ზემოხსენებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით გათვალისწინებულ საქმიანობაში მონაწილეობაზე, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი);

დ) უნივერსიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით ან სხვა ამგვარი დოკუმენტით გათვალისწინებული, ასევე საერთაშორისო ვალდებულებებიდან გამომდინარე, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე, სასწავლო კურსის ან მისი ნაწილის წაკითხვა (გადაწყვეტილებას ზემოხსენებული სასწავლო კურსის ან მისი ნაწილის ანაზღაურებადი სახით წაკითხვის თაობაზე, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი);

ე) შესაბამისი ანაზღაურებით განათლების ავტორიზაციის ან/და აკრედიტაციის ან/და სხვა პროფილური მიმართულების ექსპერტის თანამდებობაზე საქმიანობა (ზემოხსენებულ გადაწყვეტილებას, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი);

ვ) შესაბამისი ანაზღაურებით ან მის გარეშე სადისერტაციო ნაშრომის რეცენზირება, დისერტაციის დაცვის, ასევე აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შესარჩევი საკონკურსო კომისიების წევრობა.



N 14839/10
03/08/2021

14839-10-3-202108031124



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს

წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2021 წლის 29 ივლისის №67/2021 დადგენილებას.

დანართი: 32 გვერდი

გიორგი შარვაშიძე

რექტორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროექტი

„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებში“ (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 25 დეკემბრის N4 სხდომის ოქმით) შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

1. პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) პერსონალისათვის სამუშაოს უსაფრთხო, დისკრიმინაციისგან თავისუფალი გარემოსა და ჯანსაღი პირობების შექმნას;“.

2. 26-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პერსონალისათვის დაუშვებელია ზოგადზნეობრივი ნორმების წინააღმდეგ ან პერსონალისა და თსუ-ს დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელი (ბრალეული ქმედება), განურჩევლად იმისა, სად არის იგი ჩადენილი. აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია, მათ შორის სექსუალური ან სხვა სახის შევიწროება. დაუშვებელია სიძულვილის ენის გამოყენება.“.

3. 26-ე მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. მოქალაქეებთან და თანამშრომლებთან ურთიერთობისას პერსონალი ვალდებულია, დაიცვას ეთიკური და ზნეობრივი ნორმები, დისკრიმინაციისა და სიძულვილის ენის აკრძალვის წესი, გააცნოს საკუთარი თავი და დაკავებული თანამდებობა, იყოს ყურადღებიანი და ზრდილობიანი.“.

4. 27-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. უნივერსიტეტის პერსონალის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი შეიძლება გახდეს წინამდებარე შინაგანაწესით, შრომითი ხელშეკრულებით, ეთიკის კოდექსით, ასევე შრომის დისციპლინის დაცვისა და ეთიკის სფეროში უნივერსიტეტის მიერ გამოცემული სხვა აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნათა, ასევე მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა დადასტურებული დარღვევა. სექსუალური შევიწროების საქმეში სავარაუდოდ მსხვერპლის/შემვიწროებლის წარსული ან ამჟამინდელი სექსუალური/პირადი ცხოვრება არ ატარებს მტკიცებულებით მნიშვნელობას საქმის განხილვისას და არ წარმოადგენს სექსუალური შევიწროების ფაქტის არსებობის/არარსებობის პრეზუმირების საფუძველს.“.

5. 29-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სტუდენტის დისციპლინური დევნის საკითხს წყვეტს ფაკულტეტის საბჭო. „სტუდენტს უფლება აქვს დაესწროს თავისი საქმის განხილვას. სექსუალური შევიწროების საკითხთან დაკავშირებული საქმისწარმოება, კონფიდენციალურობის დაცვის განსაკუთრებული საჭიროების გათვალისწინებით, უნდა განხორციელდეს დეკანის წარდგინების საფუძველზე რექტორის ბრძანებით შექმნილი კომისიის ფარგლებში.“.

6. 29-ე მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი შეიძლება გახდეს უნივერსიტეტის შინაგანაწესით, ხელშეკრულებით, ეთიკის კოდექსით, ასევე ქცევის წესების ამსახველი უნივერსიტეტის მიერ გამოცემული სხვა აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნათა, ასევე მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა დადასტურებული დარღვევა, რისთვისაც სტუდენტს დადგენილი წესითა და პროცედურის დაცვით შესაძლოა გამოეცხადოს საყვედური, ან შეუწყდეს სტუდენტის სტატუსი ჩადენილი ქმედების სიმძიმისა და შინაარსის გათვალისწინებით. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილება აისახება სტატუსის შეწყვეტის შესახებ რექტორის ბრძანებაში.“.

7. 30-ე მუხლის „ა“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) უხეში და არაეთიკური დამოკიდებულება, სექსუალური ან სხვა სახის შევიწროება, ძალადობა და შეურაცხყოფა სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, აგრეთვე, მასწავლებლებისა და მოწვეული პედაგოგების მიმართ.“.



საჯარო სამართლის იურიდიული აიბი -
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რექტორი

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW -

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

RECTOR

N 14838/10

03/08/2021

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობით საბჭოს

მოგახსენებთ, რომ შემუშავებულ იქნა „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები“-ს და „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი“-ს ცვლილებებისა და დამატებების პროექტები. შინაგანაწესისა და ეთიკის კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტები გაეგზავნა ყველა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს და ეთხოვა ხსენებული დოკუმენტების პროექტების გაცნობა მათდამი დაქვემდებარებული თანამშრომლებისათვის. ეთიკის კოდექსში შესატანი ცვლილებებთან დაკავშირებით შემოსული წერილობითი შენიშვნებიდან გათვალისწინებული იქნა მხოლოდ ერთი - ტექნიკური ხასიათის შეცდომები ეთიკის კოდექსის შინაარსში. რაც შეეხება შინაგანაწესს, შესატანი ცვლილებებთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები არ შემოსულა.

დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები“-ს (დანართი 1) და „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი“-ში (დანართი 2) შესატანი ცვლილებებს.

გიორგი შარვაშიძე

რექტორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი

პრეამბულა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის, ჰუმანისტური ტრადიციების, გელათისა და იყალთოს აკადემიების სულიერი და ინტელექტუალური მემკვიდრეა. უნივერსიტეტი ავტონომიური უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებაა.

ჰუმანიზმის, ტოლერანტობისა და თანასწორობის პრინციპებზე დამყარებული ქართული უნივერსიტეტის კარი ღიაა ყველა სტუდენტისა და აკადემიური პერსონალისთვის განურჩევლად მათი ეთნიკური კუთვნილებისა, სქესისა, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა. უნივერსიტეტის მიზანია, სტუდენტზე ორიენტირებული და ყოველგვარი, რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით დისკრიმინაციისაგან, ასევე, სიძულვილის ენისაგან თავისუფალი საუნივერსიტეტო გარემოს შექმნა.

მუხლი 1. ეთიკის კოდექსის მიზანი და მოქმედების სფერო

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „თსუ“ ან „უნივერსიტეტი“) ეთიკის კოდექსი განკუთვნილია უნივერსიტეტის აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, მასწავლებლების, მკვლევარების, მოწვეული პედაგოგების, სტუდენტებისა და პროფესიული სტუდენტებისათვის, ასევე უნივერსიტეტთან ვადიან ან უვადო სამართლებრივ ურთიერთობებში მყოფი სხვა პირებისა და სტუმრებისათვის (შემდგომში - „პერსონალი“, „სტუდენტები“ და „უნივერსიტეტთან დაკავშირებული პირი“). იგი საუნივერსიტეტო ღირებულებების, კანონმდებლობისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად, ადგენს პერსონალის, სტუდენტებისა და უნივერსიტეტთან დაკავშირებული პირების, ასევე სტუმართა ქცევის ნორმებს, მათ შორის წამოჭრილი ეთიკური პრობლემების მოგვარების შესაძლო გზებს.

2. ამ კოდექსის მიზანია სამართლიანობის, თანასწორობის, კეთილსინდისიერების, სხვისი აზრის პატივისცემის, ობიექტურობის, მიუკერძოებლობისა და პატიოსნების პრინციპების ჩამოყალიბება რომლის მიხედვითაც უნდა იმოქმედონ უნივერსიტეტის პერსონალმა, სტუდენტებმა, უნივერსიტეტთან დაკავშირებულმა პირებმა და უნივერსიტეტის სტუმრებმა.

მუხლი 2. ეთიკის კოდექსის პრინციპები და სტანდარტები

1. უნივერსიტეტში სწავლების პროცესი და სტუდენტებთან ურთიერთობა უნდა ემყარებოდეს ეთიკურ ნორმებს, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს არამართო შრომისმოყვარე, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების, არამედ მოაზროვნე,

განვითარებაზე ორიენტირებული, პატრიოტი, პატიოსანი და კანონმორჩილი მოქალაქეების ჩამოყალიბებას.

2. აკრძალულია სტუდენტთა ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია, მათ შორის სექსუალური ან სხვა სახის შევიწროება. დაუშვებელია სტუდენტთა მიმართ სიძულვილის ენის გამოყენება.

3. აკადემიური პერსონალის წარმომადგენელმა, სამეცნიერო თანამდებობის მქონე პერსონალმა, მკვლევარმა, მასწავლებელმა და მოწვეულმა პედაგოგმა პატივი უნდა სცეს კოლეგის აკადემიურ დამოუკიდებლობას, სამართლიანად და ობიექტურად უნდა შეაფასოს მისი საქმიანობა და ნაშრომები; კოლეგის კრიტიკა უნდა იყოს კონსტრუქციული; არ უნდა გააკეთოს უხეში და მიუღებელი კომენტარები კოლეგის სწავლების მეთოდებზე, აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია, მათ შორის სექსუალური ან სხვა სახის შევიწროება; კოლეგის დამცირება, შეურაცხყოფა ან ანონიმურად დადანაშაულება, სიძულვილის ენის გამოყენება.

4. აკადემიურ პერსონალს, მასწავლებლებს, მოწვეულ პედაგოგებს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და დამხმარე პერსონალს შორის უნდა არსებობდეს პატივისცემაზე და სამართლიანობაზე დაფუძნებული ურთიერთობა. პერსონალს შორის დაუშვებელია სიძულვილის ენის გამოყენება, აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია, მათ შორის სექსუალური ან სხვა სახის შევიწროება.

5. ადმინისტრაციული, დამხმარე და სხვა პერსონალი პატივს უნდა სცემდეს უნივერსიტეტსა და მის ტრადიციებს, თანამშრომლებსა და სტუდენტებს მოეპყროს სამართლიანად და პატივისცემით. უნივერსიტეტის, ასევე ფაკულტეტისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების მართვის ორგანოებმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც გამორიცხავს თანამშრომლებისა და სტუდენტების ყოველგვარ დისკრიმინაციას, მათ შორის სექსუალურ ან სხვა სახის შევიწროებასა და სიძულვილის ენის გამოყენებას.

6. უნივერსიტეტის შესაბამისი პერსონალის (ადმინისტრაციული, აკადემიური, სამეცნიერო, მკვლევართა, მასწავლებელთა და დამხმარე თანამდებობები) ძირითადი მოვალეობაა აღზარდონ და ჩამოაყალიბონ თავისუფალის სამყაროს ღირსეული წევრები, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე მაღალკვალიფიციური ახალგაზრდა სპეციალისტები და ამ მიზნით:

ა) მოწადინებულნი იყვნენ მაქსიმალურად ხელი შეუწყონ სასწავლო პროცესის წარმართვას უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით;

ბ) დარგის, ან მეცნიერების შესაბამის სფეროში მიმდინარე ცვლილებების კვალდაკვალ, მიზანმიმართული იყვნენ პერიოდულად განახლონ საგანმანათლებლო პროგრამა და სრულყონ მისი წარმართვის მეთოდოლოგია;

გ) ხელი შეუწყონ სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას და ამ მიზნით: სწავლების პროცესში გაითვალისწინონ სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებები, მრავალფეროვნება და ინკლუზიურობა; გაუწიონ სტუდენტებს აკადემიური ხელმძღვანელობა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე, რისთვისაც ოფიციალურად უნდა გამოყონ საკონსულტაციო დამატებითი საათები.

დ) ლექციაზე შევიდნენ დროულად, ჯეროვან დონეზე მომზადებული და მაქსიმალურად ორგანიზებული, არ უნდა დაუშვან ლექციის დროზე ადრე დამთავრება, ან გაცდენა საპატიო მიზეზის გარეშე. დანიშნულ დროს დადგენილი წესის შესაბამისად, შეაფასონ ყველა გამოცხადებული სტუდენტის ცოდნა სამართლიანობის პრინციპის დაცვით;

ე) შექმნან ყველა საჭირო პირობა პატიოსანი და გამჭვირვალე აკადემიური გარემოს ფორმირებისათვის, გამოიყენონ უნივერსიტეტის მიერ დადგენილი სწავლებისა და შეფასების შესაბამისი მეთოდები, რომლებიც განაპირობებს სტუდენტების აკადემიურ პატიოსნებას და გამორიცხავს პლაგიატს და პროფანაციას; ხელი უნდა შეუწყონ მოსაზრებათა და შეხედულებათა გაცვლას, რათა ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებზე დაყრდნობით, გამოირიცხოს სხვადასხვა პრობლემის წარმოშობა;

ვ) მიაწოდონ სტუდენტებს ამომწურავი ინფორმაცია შეფასების სისტემის შესახებ, თავისი საქმიანობით გამორიცხონ შეფასებაზე მოქმედი ისეთი ფაქტორები, როგორცაა: ფავორიტიზმი, პროტექციონიზმი, რელიგიური, რასობრივი, ეთნიკური, თუ პოლიტიკური კუთვნილება, ოჯახური მდგომარეობა და სხვ., დაუშვებელია ამ ფაქტორებით სტუდენტთა დისკრიმინაცია;

ზ) მიუღებელია სტუდენტების შესაძლებლობათა გამოყენება პირადი გამორჩენის მიზნით, ან კოლეგებთან პროფესიული უთანხმოების ინსტრუმენტად.

თ) პატივი სცენ კოლეგის აკადემიურ დამოუკიდებლობას, სამართლიანად და ობიექტურად შეაფასონ მისი საქმიანობა და ნაშრომები; კოლეგის კრიტიკა უნდა იყოს კონსტრუქციული; არ უნდა გააკეთონ უხეში და მიუღებელი კომენტარები კოლეგის სწავლების მეთოდებზე, დაუშვებელია კოლეგის დამცირება, შეურაცხყოფა ან ანონიმურად დადანაშაულება. სამართლიანად და პატივისცემით მოეპყრან უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელსა და სტუდენტს.

ი) სისტემატურად იღვწოდნენ აკადემიური, პედაგოგიური და პროფესიული დონის ასამაღლებლად. მოვალეა მიიღოს აქტიური მონაწილეობა უნივერსიტეტის საზოგადოებრივ თუ საორგანიზაციო საქმიანობაში.

კ) თავი შეიკავონ უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ ისეთ საქმიანობაში ჩართვისა, თუ ვალდებულებების აღებისაგან, რაც ხელს შეუშლის მათი საუნივერსიტეტო მოვალეობების სრულფასოვნად განხორციელებას. გაუფრთხილდნენ უნივერსიტეტის სახელსა და რეპუტაციას.

ლ) დანიშნულებისამებრ და ეფექტიანად გამოიყენონ უნივერსიტეტის შენობა, ტექნიკა, აღჭურვილობა და სხვა რესურსები საუნივერსიტეტო საქმიანობის სრულად განსახორციელებლად. გაუფრთხილდნენ უნივერსიტეტის ქონებას.

მ) მიმართული იყვნენ უნივერსიტეტში შეიქმნან სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობისა და პროფესიული განვითარებისთვის აუცილებელი მორალური, ფინანსურ-ეკონომიკური და საყოფაცხოვრებო გარემო.

ნ) პატივი სცენ უნივერსიტეტს და მის ტრადიციებს, თანამშრომლებსა და სტუდენტებს მოეპყრონ სამართლიანად და პატივისცემით. შეიმუშაონ და განახორციელონ ისეთი პოლიტიკა, რომელიც გამორიცხავს თანამშრომლებისა და სტუდენტების დისკრიმინაციას სქესისა და ასაკის, რასობრივი, ეთნიკური, პოლიტიკური ან რელიგიური კუთვნილების საფუძველზე.

ო) მათი საქმიანობა ეფუძნებოდა ეთიკის მაღალ სტანდარტებს, კეთილსინდისიერებას და პატიოსნებას, ხელს უწყობდა საზოგადოებაში უნივერსიტეტის სახელისა და ავტორიტეტის განმტკიცებას.

პ) ემორჩილებოდნენ უნივერსიტეტის მიერ შიდასამართლებრივი აქტების საფუძველზე დადგენილ წესებს, პროცედურებს.

ჟ) უარი განაცხადონ, მონაწილეობა არ მიიღონ გადაწყვეტილების მიღებაში ან კენჭისყრაში ისეთი საკითხის განხილვების დროს რომელშიც იკვეთება რეალური ან შესაძლო წინააღმდეგობა მის (მისი ოჯახის წევრის) კერძო ინტერესსა და სამსახურებრივ ვალდებულებას შორის.

რ) უარი თქვან საჩუქრის მიღებაზე, რომლებიც შესაძლოა აღქმულ იქნეს გავლენის მოახდენად მის საქმიანობაზე, ექვემდებარებოდნენ დააყენებს მათ კეთილსინდისიერებას, ზიანს მიაყენებს და შელახავს მათი და უნივერსიტეტის რეპუტაციას.

ს) არ გაამჟღავნონ პროფესიული საქმიანობის დროს მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7. უნივერსიტეტის პერსონალის მიერ ეთიკური ნორმების დარღვევისათვის დაწესებულია თსუ-ს შინაგანაწესითა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით დადგენილი ზომები.

8. უნივერსიტეტის აკადემიური ეთიკისა და სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში სამეცნიერო-საგანმანათლებლო ფუნქციის განმახორციელებელი პერსონალის სამსახურებრივი პასუხისმგებლობის საკითხები და პასუხისმგებლობის ნორმები დადგენილია ცალკე, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების მიერ.

მუხლი 3. უნივერსიტეტის სტუდენტთა ეთიკის სტანდარტები

1. სტუდენტები ვალდებული არიან პატივი სცენ უნივერსიტეტს, ისწავლონ, მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო კვლევებში, დაიცვან ეთიკის კოდექსში არსებული მოთხოვნები და ამით ხელი შეუწყონ უნივერსიტეტის ავტორიტეტის ამაღლებას, ამასთანავე ზედმიწევნით დაიცვან თსუ-სთან დადებული ხელშეკრულების პირობები.

2. სტუდენტმა პატივი უნდა სცეს თსუ-ს პერსონალსა და სტუდენტებს, უნივერსიტეტთან დაკავშირებულ პირებსა და სტუმრებს, ხოლო პრობლემების წარმოშობის შემთხვევაში მათი გადაჭრა უნდა მოხდეს უნივერსიტეტში არსებული წესდების, შინაგანაწესის, დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებისა და ეთიკის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად.

3. სტუდენტს ეკრძალება სხვა სტუდენტის, ასევე, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლების, მასწავლებლებისა და მოწვეული პედაგოგების ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია, მათ შორის სექსუალური ან სხვა სახის შევიწროვება. დაუშვებელია მათ მიმართ სიძულვილის ენის გამოყენება.

4. სტუდენტისათვის შეუფერებელ და არათავისუფალ ქცევად ჩაითვლება შეურაცხყოფის მიყენება, ძალადობა სხვა სტუდენტების, პერსონალის წარმომადგენლების, უნივერსიტეტთან დაკავშირებული პირებისა და სტუმრების მიმართ. ასევე, აკადემიური სიყალბე, რაც გულისხმობს:

ა) გადაწერას სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან, ან სხვა სახის დამხმარე მასალის გამოყენებას, რომელიც წინასწარ არ არის ნებადართული;

- ბ) სხვა სტუდენტის ნაცვლად სასწავლო პროცესში ჩართვას.
- გ) გამოცდის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვებას ან ამის მცდელობას;
- დ) სხვა პირის ნამუშევრის როგორც საკუთარის წარმოჩენას ან/და გამოცდის მიმდინარეობის პროცესში სხვისი საგამოცდო ნაშრომის შინაარსის გადაწერას;
- ე) პლაგიატს, რაც გულისხმობს სხვის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომის ან მისი ნაწილის (ან გამოუქვეყნებელი ნაშრომის ან მისი ნაწილის, რომელზეც მტკიცდება ავტორობა, მათ შორის გამოქვეყნებული ან გამოუქვეყნებელი /მათ შორის დაცვის მიზნით მომზადებული, წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი/ თეორიების, ცნებების, მონაცემთა წყარო მასალების, სახელმძღვანელოების, მეთოდოლოგიების ან დასკვნების, გრაფიკების, გამოსახულებების და სხვა), როგორც საკუთარის წარმოდგენა და გამოყენება, ავტორის შესაბამისი მითითებისა და საჭიროების შემთხვევაში, ნებართვის გარეშე;
- ვ) სტუდენტის ნამუშევრის მოპარვას, განადგურებას, ან შეცვლას;
- ზ) სხვა სტუდენტებისათვის სწავლასა და კვლევის პროცესში ხელის შეშლას;
- თ) სხვა სტუდენტისათვის ხელის შეწყობას ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში;
- ი) კვლევითი სამუშაოების ფაქტობრივი ინფორმაციის გაყალბებას;
- კ) შეფასების მიღების მცდელობას გამომცდელზე მუქარით, ფიზიკური, ან ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობითა, თუ სხვა დაუშვებელი ხერხებითა და ქმედებით.
- ლ) ნებისმიერი ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება ეთიკურ ნორმებს და ზიანს აყენებს უნივერსიტეტის რეპუტაციას, სხვა პირის უფლებებსა და ინტერესებს ან ქმნის ასეთი ზიანის მიყენების საფრთხეს ან მოაქვს დაუმსახურებელი სარგებელი ან არასამართლიანი უპირატესობა.

5. უნივერსიტეტის სტუდენტი ვალდებულია:

- ა) დაიცვას ეთიკისა და ქცევის საყოველთაოდ მიღებული ნორმები; პერიოდულად ეცნობოდეს უნივერსიტეტის შესაბამის სამართლებრივ აქტებს და განუხრელად იცავდეს მათ მოთხოვნებს.
- ბ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის კუთვნილ ქონებას (აღნიშნული პუნქტის დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტს ეკისრება მატერიალური ზარალის ანაზღაურების ვალდებულება, რაც დაიქვითება მისი სწავლის საფასურიდან).

6. სტუდენტის მიერ ეთიკური ნორმების დარღვევისათვის დადგენილია კანონმდებლობით, თსუ-ს შინაგანაწესითა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით გათვალისწინებული ზომები.

მუხლი 4. ეთიკის ნორმების დარღვევა უნივერსიტეტის წინააღმდეგ

1. უნივერსიტეტის მიმართ ეთიკის ნორმების დარღვევა განიხილება საჯაროდ*:
 - ა) უნივერსიტეტის, როგორც იურიდიული პირისა და დაწესებულების სახელის, რეპუტაციის შემლახველი ქმედების განხორციელება ან/და განცხადებების გაკეთება (როგორც ზეპირსიტყვიერად ისე წერილობითი სახით);
 - ბ) უნივერსიტეტის შეურაცხმყოფელი ფორმით (ტერმინოლოგიით) მოხსენიება;

გ) უნივერსიტეტის თაობაზე ცრუ, დაუდასტურებელი ინფორმაციის გავრცელება, რაც ზიანს აყენებს უნივერსიტეტის სახელსა და რეპუტაციას;

დ) აგრეთვე სხვა ქმედება, რომელიც შესაძლებელია შეფასებული იქნას, როგორც უნივერსიტეტის სახელისა და რეპუტაციის შემლახველი ქმედება.

2. უნივერსიტეტის პერსონალი, სტუდენტები, უნივერსიტეტთან დაკავშირებული პირები და სტუმრები ვალდებული არიან უნივერსიტეტის, როგორც იურიდიული პირის მიმართ დაიცვან ამ კოდექსის მოთხოვნები და ეთიკის საზოგადოებრივად აღიარებული ნორმები.

3. უნივერსიტეტის პერსონალს, სტუდენტებსა და უნივერსიტეტთან დაკავშირებულ პირებს შესაძლოა დაეკისროთ დისციპლინური პასუხისმგებლობა წინამდებარე ეთიკის კოდექსის მოთხოვნათა დარღვევისათვის, მოქმედი კანონმდებლობით, ამ კოდექსითა და უნივერსიტეტის სხვა შიდასამართლებრივი აქტებით განსაზღვრული წესით.

4. უნივერსიტეტის სტუმრებისა და სხვა პირთა მიერ წინამდებარე ეთიკის კოდექსის მოთხოვნათა დარღვევასთან დაკავშირებით უნივერსიტეტი უფლებამოსილია იმსჯელოს და იმოქმედოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

* წინამდებარე ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საჯარო სფეროდ განიხილება სივრცე, რომლის ფარგლებში ჩადენილი ქმედება ან/და ამ ქმედების შედეგად გავრცელებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ან შეიძლება გახდეს ასეთი სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირებისათვის რაიმე სახის შეზღუდვის გარეშე (ზეპირი საჯარო განცხადება, ქმედება, მათ შორის უნივერსიტეტის სივრცეში, ტელევიზიით, სოციალურ სივრცეში და სხვ.).

მუხლი 5. პასუხისმგებლობა ეთიკის ნორმების დარღვევისათვის

1. ეთიკის ნორმების დარღვევისათვის პირის პასუხისმგებლობა მძიმდება ეთიკის ნორმების განმეორებითი დარღვევის ან დისციპლინური გადაცდომის ხარისხის პროპორციულად.

2. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდება ხდება მოქმედი კანონმდებლობით და უნივერსიტეტის შიდასამართლებრივი აქტებით განსაზღვრული პროცედურების დაცვით. მიღებული გადაწყვეტილება დაინტერესებულ პირს წერილობით უნდა ეცნობოს. გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა იყოს დასაბუთებული.

3. სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს წყვეტს ფაკულტეტის საბჭო ან ის საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეული, რომლის მიერ განხორციელებად საგანმანათლებლო პროგრამაზე ირიცხება სტუდენტი, მოქმედი კანონმდებლობის, შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების, ამ კოდექსისა და უნივერსიტეტის სხვა შიდასამართლებრივი აქტების შესაბამისად.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე კოდექსი უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების შემადგენელი, განუყოფელი ნაწილია.

2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი მტკიცდება და მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ.

3. წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნო ვალდებულია ეთიკის კოდექსის ან მისი ცვლილებების/დამატებების პროექტი წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს გაცნობის მიზნით გადასცეს წინასწარ, წარმომადგენლობითი საბჭოს შესაბამის სხდომამდე არაუგვიანეს 7 კალენდარული დღისა.



საჯარო სამართლის იურიდიული აიბი -
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რექტორი

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW -
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
RECTOR

N 14838/10

03/08/2021

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობით საბჭოს

მოგახსენებთ, რომ შემუშავებულ იქნა „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები“-ს და „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი“-ს ცვლილებებისა და დამატებების პროექტები. შინაგანაწესისა და ეთიკის კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტები გაეგზავნა ყველა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს და ეთხოვა ხსენებული დოკუმენტების პროექტების გაცნობა მათდამი დაქვემდებარებული თანამშრომლებისათვის. ეთიკის კოდექსში შესატანი ცვლილებებთან დაკავშირებით შემოსული წერილობითი შენიშვნებიდან გათვალისწინებული იქნა მხოლოდ ერთი - ტექნიკური ხასიათის შეცდომები ეთიკის კოდექსის შინაარსში. რაც შეეხება შინაგანაწესს, შესატანი ცვლილებებთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები არ შემოსულა.

დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები“-ს (დანართი 1) და „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი“-ში (დანართი 2) შესატანი ცვლილებებს.

გიორგი შარვაშიძე

რექტორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 14922/10

03/08/2021

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 47-ე მუხლის მე-5¹ პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ განიხილოთ უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული 33 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების ჩამოწერის საკითხი.

დანართი: 1 ელ. ფაილი.

პატივისცემით,

გიორგი შამათავა

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჩამოსაწერი ძირითადი აქტივების (მანქანა-დანადგარებისა და სხვა) ნაირენი
 ღირებულების დადგენის

ა ქ ი

2021 წლის 03 აგვისტოს მდგომარეობით

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტოსატრანსპორტო საშუალებები

ინდ №	ძირითადი საშუალებების დასახელება	ავტომაქსანი ს №	ქმსუადაციაში შესვლის წელი	ქმსუადაციაში ფუნდის ფაქტობრივი ფასი	ღირებულება ქმსუადაციაში	ბუღალტრული ცვეთა		ფიზიკური ცვეთა		ნარჩენი ღირებულება	ფაქტობრივი ცვეთა				ნარჩენი ღირებულება					
						%	ლარი	%	ლარი		% ბუნებრივი ცვეთის ფაქტობრივი ფასი	% ბუნებრივი ცვეთის ფაქტობრივი ფასი	% ბუნებრივი ცვეთის ფაქტობრივი ფასი	% ბუნებრივი ცვეთის ფაქტობრივი ფასი						
1	2	2"	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20
1	ობულ-კვქტრა	AMA-021	1994	28	3906	100	3906	100	3906		2.31	9,025	9025	13	100	100	100	9025		
2	ვოლვო 940	MSS-038	1990	32	6142	100	6142	100	6142		2.31	14,188	14188	13	100	100	100	14188		
3	ვოლვო 760	ACK624	1985	37	3420	100	3420	100	3420		2.31	7,900	7900	13	100	100	100	7900		
4	უაზ 3303-01	ACC-346	1988	34	904.7	100	904.7	100	904.7		2.31	2,090	2090	13	100	100	100	2090		
5	გაზ-52 - სატვირთო	ACC-345	1985	37	289.6	100	289.6	100	289.6		2.31	669	669	13	100	100	100	669		
6	აუდი 100	TXT-669	1992	30	2770	100	2770	100	2770		2.31	6,400	6,400	13	100	100	100	6,400		
7	გაზ-66	GAS-80-77	1976	46	390	100	390	100	390		2.31	900	900	13	100	100	100	900		
8	გაზ 24-01	ADH-763	1982	40	229	100	229	100	229		2.31	530	530	13	100	100	100	530		
9	გაზ-2121 ნივა	ABP-835	1989	33	368	100	368	100	368		2.31	850	850	13	100	100	100	850		
10	გაზ-69	AAZ-614	1970	52	32.9	100	32.9	100	32.9		2.31	76	76	13	100	100	100	76		
11	გაზ-69	ABP-824	1970	52	1801	100	1801	100	1801		2.31	4,161	4,161	13	100	100	100	4,161		
12	უაზ-31512	PAF-598	1987	35	677	100	677	100	677		2.31	1,564	1,564	13	100	100	100	1,564		
13	ტრაქტორი		1990	32	924.0	100	563.9	100	563.9		2.31	2,134	2,134	13.5	100	100	100	2,134		
14	ავტოსაბმელი	BB-540	1990	32	143.0	100	171.8	100	171.8		2.31	330	330	13	100	100	100	330		
15	უაზ 469	ABP-935	1981	41	302	100	363	100	363		2.31	697	697	13	100	100	100	697		
16	ტრაქტორი ბელორუსი	GL-06-90	1989	33	1398	100	1392	100	1392		2.31	3,230	3,230	13.5	100	100	100	3,230		
17	უაზ 469	AYA-488	1986	36	1863	100	1863	100	1863		2.31	4,304	4,304	13	100	100	100	4,304		
18	გაზ-69	ABP-932	1966	56	639	100	639	100	639		2.31	1,476	1,476	13	100	100	100	1,476		
19	ზილ 31410	AEB-716	1990	32	996	100	996	100	996		2.31	2,301	2,301	15	100	100	100	2,301		
20	ზილ 431412 ა/ცისტერნა	ABC-702	1989	33	1036	100	1036	100	1036		2.31	2,394	2,394	15	100	100	100	2,394		
21	თვითმძღვლი მ.ზ-5549	AD5-283	1986	36	1412	100	1412	100	1412		2.31	3,261	3,261	15	100	100	100	3,261		
22	კაზ-672	ACY-613	1985	37	1129	100	1129	100	1129		2.31	2,608	2,608	13	100	100	100	2,608		
23	მოსკვი იე-2715	ADI-460	1984	38	422.9	100	422.9	100	422.9		2.31	977	977	13	100	100	100	977		
24	კაზ-3201	ADI-461	1983	39	1080	100	1080	100	1080		2.31	2,495	2,495	13	100	100	100	2,495		
25	ზილ-13080	FAH-12-68	1983	39	1091	100	1091	100	1091		2.31	2,521	2,521	15	100	100	100	2,521		

